



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 17 ნოემბერი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 29 იანვარი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გეოგრაფია
უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	გეოგრაფიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	---
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული გადაწყვეტილება: №40; 23.09.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ელაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარ დუაძე, სტუდენტი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიითითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიითითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანების MES 6 20 0001011862 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკაკი წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და განახორციელა ონლაინ ვიზიტი კითხვა-პასუხის რეჟიმში დამატებითი ინფორმაციის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების მიზნით. შესწავლის მიზანს წარმოადგენდა გეოგრაფიის საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და ანგარიშები. პროგრამა აკრედიტირებულია 2011 წლიდან (აკრედიტ. გადაწყვეტილება: №40; 23.09.2011, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 7 (25.04.2011), 2011 წლის 31 აგვისტოს აკადემიური საბჭოს №1 (11/12) დადგენილება) და მას შემდეგ გაიარა რიგი ცვლილებები და განახლება (ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №8, 24 მაისი 2012 წელი; აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №17, 25 მაისი 2012 წელი; ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №3, 16 მაისი 2014 წელი; ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №12, 15 ივნისი, 2016წ; უნივერსიტეტის აკად. საბჭ.დადგენილება №2 (15/16) 22.09.2016; ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №1, 11 სექტემბერი 2017 წელი; უნივერსიტეტის აკად. საბჭ.დადგენილება №1 (17/18)15.09.2017; უნივერსიტეტის აკად. საბჭ.დადგენილება №1 (19/20)12.09.2019).

პროგრამა წარმოადგენს გეოგრაფიის ფართო დარგის საბაკალავრო საფეხურის პროგრამას. საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). სემესტრის ხანგრძლივობა (სასწავლო კვირების რაოდენობა) შეადგენს 15 კვირას. აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ECTS. სილაბუსების კრედიტები დატვირთვის და საკონტაქტო საათების მიხედვით იყოფა, როგორც 3, 4, 5, და 6. პროგრამაში 240 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ძირითადი (major) სპეციალობა სავალდებულო – 121 ECTS;
- ძირითადი (major) სპეციალობა არჩევითი – 16 ECTS;
- დამატებითი (minor) სპეციალობა – 60 ECTS (სტუდენტის სურვილით);
- თავისუფალი სავალდებულო კურსები – 33 ECTS.
- თავისუფალი არჩევითი კურსები –10 ECTS.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამის შესახებ. აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა ონლაინ ფორმით, ZOOM ინტერფეისის გამოყენებით 2020 წლის 17 ნოემბერს შემდეგი ფორმატით: შეხვედრა დაწესებულების ადმინისტრაციასთან; შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან; შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან; შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

(გასაუმბრება ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან); შეხვედრა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებელთან.

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა რეაკრედიტაციის ფარგლებში. ექსპერტების მიერ გაანალიზდა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსობრივი მხარე, შესწავლილი იქნა მოწოდებული სილაბუსები და პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ფაკულტეტზე იქნა შემუშავებული. ასევე დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა მთლიანობაში შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, სტრატეგიულ გეგმასა და მისიასთან. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი ასევე მიზნად ისახავს თავის საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქისა და რეგიონის განვითარებაში.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებიდან გამომდინარე პროგრამა ორიენტირებულია დარგის განვითარებაზე, რაც მიღწევადაა ძირითადი სასწავლო კურსების ათვისებით და კურიკულუმის გარეშე აქტივობებით:

- უნივერსიტეტის, ქვეყნისა და მის გარეთ თანამშრომელთა მიერ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა.
- სკოლებთან და სხვა სასწავლო დაწესებულებებთან, გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან და დაცულ ტერიტორიებთან აქტიური პროფესიული თანამშრომლობა;
- სტუდენტთა შემეცნებითი და დასაქმებაზე ორიენტირებულ საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობა და სხვა.

თუმცა აქვე დავძენთ, რომ ჩვენი რჩევაა რომ სტუდენტთა და პროფესორთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში აქტიურად ჩართვა, რაც აღნიშნული არის კიდევც თვითშეფასების ანგარიშში, როგორც გასაუმჯობესებელი მხარე.

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ონლაინ ვიზიტისას მოგროვებული ინფორმაცია გვიჩვენებს, გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების დასაქმებას სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, გარემოს ეროვნულ სააგენტოში, დაცული ტერიტორიების სააგენტოებსა და სხვა მომიჯნავე სფეროებში.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „გეოგრაფია“ მუშაობის დროს გათვალისწინებული იყო დარგის მიმართ შრომის ბაზრის მიერ წაყენებული მოთხოვნები, ასევე აწსუ-ს გეოგრაფიის დეპარტამენტისა და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

აქვე შევნიშნავთ, რომ სტუდენტები ფორმალურად კი უნდა ფლობდნენ მათემატიკის სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნას, თუმცა მათემატიკაში ეროვნული მისაღები გამოცდის ჩაბარების გარეშე ეს რთულად შემოწმებადია. ამავე დროს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია კალკულუსის სილაბუსი, და მისი წარმატებულად დაძლევისათვის კარგი იქნებოდა სტუდენტთა დასახმარებლად პრეკალკულუსის, როგორც არჩევითი საგნის დამატება.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციებთან თანხვედრაში (ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა EP-QA“ (აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება #49 (17/18)). პროგრამამ მოდიფიკაცია განიცადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანებით №69/ნ დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნების შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამა შედგება სასწავლო კურსებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს Major და Minor მოდულებს და მისი სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

გამოყენებული მეთოდები, კრედიტების მოცულობა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. პროგრამის სასწავლო კომპონენტების შინაარსი ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს, თუმცა რჩევის სახით დავამატებთ რომ ეს კომპონენტი კიდევ უფრო შეიძლება გაძლიერდეს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის სილაბუსებში დამხმარე მასალებად გამოყენებით.

2011 წლიდან უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ- კატალოგის (OPAC) სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე: პროგრამის სასწავლო კურსებისათვის საჭირო ძირითადი სახელმძღვანელოები სრულად განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდში. სასწავლო კურსებისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, სემესტრის ბოლოს ხდება სასწავლო პროცესით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, რომელსაც ატარებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური.

საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ- ჩვევების განვითარებას. გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და აწსუ-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გეოგრაფიის დეპარტამენტის ლექტორ-თანამშრომლები და სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა თრეინინგსა და პრაქტიკულ ღონისძიებებში. პროგრამის შემადგენელი ნაწილია სასწავლო-საველე პრაქტიკა, რომელიც

მოიცავს საველე კვლევის, ვერბალური, კარტოგრაფიული ანალიზის, დისკუსია/დებატების, დემონსტრირების მეთოდებს.

გეოგრაფიის დეპარტამენტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო პიკნიკებში; სტუდენტები ყოველწლიურად ღებულობენ მონაწილეობას სტუდენტური დღეების ფარგლებში გამართულ საუნივერსიტეტო კონფერენციებში. დეპარტამენტი ტრადიციულად, ყოველ წელს აწყობს გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო-საველე პრაქტიკის შემაჯამებელ კონფერენციებს და ფოტოგამოფენებს.

პროგრამაში გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდები შერჩეულია საბაკალავრო პროგრამის მიზნების შესაბამისად და ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე, განსხვავდება ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსის და მისაღწევი სწავლის შედეგების მიხედვით.

პროგრამას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკისა და ინფორმატიკის დეპარტამენტები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპარტამენტები და ენების შემსწავლელი ცენტრი. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადექვატურია: 1 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი და მოწვეული სპეციალისტი, ასევე ენათა ცენტრის მასწავლებლები.

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რასაც ემატება სტაბილური, პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული ბიუჯეტი.

▪ რეკომენდაციები

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მიზნები განსავრცობი და დასაკონკრეტებელია, რათა პირველ რიგში გასაგები იყოს იმ სტუდენტებისთვის ვინც ახარებენ ამ პროგრამაზე. იგივე რჩევა იქნა მიცემული დამოუკიდებელი ექსპერტის რეკომენდაციაშიც. ასევე განსავრცობია დასაქმების ბაზრის აღწერა, ვინაიდან როგორც დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, დასაქმების ბაზარი უფრო ფართოა ვიდრე ეს ნაჩვენებია პროგრამის აღწერაში.
- სასურველია შედეგებში მეტი ყურადღება გამახვილდეს მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენების საკითხზე, რათა მკაფიოდ ჩანდეს თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა მოსალოდნელი კვალიფიკაცია, პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
- მიეთითოს პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების არეალები, მაგალითად: სტუდენტი შეძლებს თუ არა დამოუკიდებლად აწარმოოს საველე გეოგრაფიული მასალის შეგროვება, დაამუშაოს მონაცემები გეოგრაფიული

საინფორმაციო სისტემების გამოყენებით და მოახდინოს მიღებული შედეგების კარტირება. ან იყოს გეოგრაფიული კვლევითი პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელის მითითებით აწარმოოს მონაცემთა მოძიება და დამუშავება. და ა. შ.

ზემოთაღნიშნული რჩევები ფაქტიურად სრულად იქნა გათვალისწინებული პროგრამის ავტორების მიერ, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები კორექტირდა შემდეგი სახით: გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება რომელსაც აქვს:

– გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე პროცესების სივრცით–დროითი ანალიზის, გეოგრაფიული კანონზომიერებების შესწავლისა შესაბამისი დასკვნების თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოდგენის უნარი.

– გეოგრაფიული გარემოს მდგრადობის შენარჩუნებისა და დაცვის ღონისძიებათა შეფასების უნარი (ატმოსფეროს, წყლის, ბიორესურსების მონიტორინგი);

– გეოგრაფიის დარგობრივი ერთ (კარტოგრაფიული, გეომორფოლოგიური, კლიმატოლოგიური და სხვ.) ოპერირების უნარი;

პროგრამის სწავლის შედეგები:

უნარები:

– დამოუკიდებლად იძიებს ზოგად გეოგრაფიულ მასალას, ახდენს მის ინტერპრეტაციას აკადემიური და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;

– იყენებს რიცხობრივ, სტატისტიკურ და კარტოგრაფიულ მეთოდებს ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას;

– საველე მუშაობის დროს დამოუკიდებლად ორიენტირებს ტოპოგრაფიული რუკებისა და სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით;

– დამოუკიდებლად აგროვებს საველე კვლევით მასალას, ახდენს მათ დამუშავებას GIS გამოყენებით და მიღებული კარტოგრაფირებას. მონაწილეობს გარემოსდაცვით და სხვა ხასიათის პროექტებში.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

– იცავს ველზე მუშაობის წესებს, უსაფრთხოების ზომებს და გარემოს დაცვის პრინციპებს; – პასუხისმგებლობით და ეთიკის ნორმების დაცვით ასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებსა და ვალდებულებებს;

– აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასებისა და დემონსტრირების უნარი და განსაზღვრავს შემდგომ საფეხურზე სწავლის საჭიროებას.

- მკაფიოდ ჩამოყალიბდეს თუ ცოდნის, უნარების და კომპეტენციის კონკრეტულად რა მოცულობას მიიღებს სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე, რათა გასაგები იყოს სწავლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების სფეროები და დონე.
- სასურველია კურიკულუმის ანალიზის რუკის მონაცემებში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების შედეგების ჩართვა.
- სილაბუსებში აქტიურად იქნას გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს ერთის მხრივ სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან აწსუ-ში და ამავე დროს უზიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში. ეს

ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები.

აღნიშნული რჩევა ასევე სრულად იქნა გათვალისწინებული პროგრამის ავტორების მიერ, და დამხმარე ლიტერატურა ინგლისურ ენაზე დაემატა ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის ყველა სავალდებულო და არჩევით კურსში.

- კალკულუსის სილაბუსი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი მათემატიკის საკითხების საკმაოდ სტანდარტიზირებულ ჩამონათვალს, რთული დასაძლვი იქნება სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით მათთვის ვისაც არ აქვს ჩაბარებული მისაღები ეროვნული გამოცდა მათემატიკაში. ჩვენი რჩევა იქნება რომ პროგრამაში განიხილონ პრეკალკულუსის სილაბუსის დამატება, რაც საშუალებას მისცემს შეავსოს სტუდენტის ცოდნა მათემატიკაში და მოამზადოს კალკულუსის დონისათვის.

პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „პრეკალკულუსი“ და უკვე დამუშავდა შესაბამისი სილაბუსი. რაც შეეხება სასწავლო კურსს „დისტანციური ზონდირება“ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის გადაწყვეტილებით დაემატება 2021-2022 სასწავლო წლიდან

- გეორგაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS), წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ცალკე სილაბუსი, რაც თავისთავად საჭიროა GIS-ის როგორც გეოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის ტექნიკური და კონცეფტუალური მხარის ასათვისებლად, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანია მოხდეს GIS-ის აპლიკაციების ინტეგრაცია სხვა სილაბუსებში და მისი ინტენსიური გამოყენება სხვადასხვა გეოგრაფიული ამოცანების გადაჭრაში, მიღებული შედეგების კარტოგრაფიულ ვიზუალიზაციაში.

აღნიშნულ რჩევასთან დაკავშირებით პროგრამის ავტორებმა გვაცნობეს, რომ GIS გამოიყენება ყველა იმ კურსში, რომელიც მოიცავს პრეზენტაციებს. ასეთებია: საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია; ფიზიკური გეოგრაფიის თეორიული საკითხები; საქართველოს დაცული ტერიტორიები; საქართველოს სტიქიური მოვლენები; შავი ზღვის გეოგრაფია და ეკოლოგიური პრობლემები; ბუნებათსარგებლობის ტურიზმის გეოგრაფია; რეკრეაციული გეოგრაფია. აქტიურად ვიყენებთ სავსე პრაქტიკებზე (რაც პასუხობს ჩვენს კიდევ ერთ შენიშვნას, სასწავლო პრაქტიკებთან დაკავშირებით). ასევე გვეცნობა, რომ მომავალში GIS ინტეგრაცია მოხდება როგორც ძირითად სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებში. იმის გათვალისწინებით, რომ GIS-სისტემების გამოყენება (საპრეზენტაციო მასალების მოსამზადებლად) უკვე ხდება ზემოთჩამოთვლილ სილაბუსებში (ოღონდ ეს ფაქტი ცხადი სახით არ არის მითითებული სილაბუსებში) და დაგეგმილია GIS სისტემების უფრო სიღრმისეული ინტეგრაცია, შეიძლება ითქვას რომ რჩევა პრინციპში გათვალისწინებული იქნა პროგრამის ავტორების მიერ.

- თანამედროვე გეოგრაფიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს დისტანციური ზონდირება, ინტერნეტ რესურსების გამოყენებით თავისუფლად ხელმისაწვდომია აერო და კოსმოსური ორთოსურათები (მაგალითად Google Earth, Bing Maps, ArcMap Baselayer), ატიურად ვითარდება და ხელმისაწვდომი გახდა უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება ახლო მანძილის აერო გადაღებებში. ჩვენი რჩევა იქნება, რომ არსებულ პროგრამაში დაემატოს დისტანციური ზონდირების სილაბუსი, თუნდაც არჩევითი საგნის დონეზე.

აღნიშნულ რჩევასთან მიმართებაში გვეცნობა, რომ სასწავლო კურსს „დისტანციური ზონდირება“ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის გადაწყვეტილებით დაემატება 2021-2022 სასწავლო წლიდან.

- სტუდენტებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განსავითარებლად სასურველია განიხილოთ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის დამატება პროგრამაში. აღნიშნული სილაბუსი ასევე კარგ თანხვედრაში მოდის სტუდენტურ კონფერენციებთან, რომელსაც ყოველწლიურად მართავს აწსუ, სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით. ეს სილაბუსი ასევე შეიძლება დაუკავშირდეს საველე პრაქტიკებს, და სტუდენტების მონაწილეობა საველე გასვლებისას იყოს კიდევ უფრო მიზნობრივი, მათ მიერ მოხდეს მასალის შეგოგება უშუალოდ საკუთარი საბაკალავრო კვლევისთვის.
- საველე პრაქტიკებში აქტიურად გამოიყენონ გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები და დისტანციური ზონდირება (აერო და კოსმოსური გამოსახულებების ანალიზი).
- სასურველია სწავლების მეთოდები უფრო განივრცოს, რათა გასაგები გახდეს პირველ რიგში სტუდენტებისათვის, მაგალითების დონეზე ნაჩვენები იყოს კავშირი კონკრეტულ სილაბუსებთან.
- სასურველია მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო ჩართულობის მეტად გაზრდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რჩევათა უმრავლესობა გათვალისწინებული იქნა პროგრამის ავტორების მიერ, რაც დადასტურდა მათი საპასუხო წერილით. თუმცა რჩევათა ნაწილზე პასუხი არ იქნა წარმოდგენილი (# 4, 5, 10 და 12).

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მექანიზმებს უზრუნველყოფს მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შესწევს:

1. გეოგრაფიული გარსის შემადგენელ სფეროებში მიმდინარე პროცესების სივრცით-დროითი ანალიზი და ვერბალური და კარტოგრაფიული საშუალებებით წარმოდგენის უნარი;
2. გეოგრაფიული გარემოს სისტემური გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლების და გეოეკოლოგიურ ღონისძიებათა შეფასების უნარი;
3. გეოგრაფიის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

პროგრამაში ასახული მიზნები წარმოადგენს გეოგრაფიის როგორც დარგის ზოგად მიზნებს. „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, თუმცა სასურველია მათი მეტი კონკრეტიკა და მკაფიოდ ჩამოყალიბება, პირველ რიგში სტუდენტისათვის გასაგებ ენაზე, თუ რა ცოდნის და უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება აღნიშნული პროგრამა. (მაგ: კურსდამთავრებულს შეეძლება ტოპოგრაფიულ და თემატურ რუკებთან მუშაობა, გეოგრაფიული ხასიათის ინფორმაციის მოპოვება, დატანა და ანალიზი, ბუნებაში მიმდინარე პროცესების სივრცე-დროითი ანალიზი და შესაბამისი დასკვნების მომზადება და სხვა...)

ამავე დროს პროგრამა საკმაოდ მოთხოვნადია დასაქმების ბაზარზე. და აქაც ასსურველია პროგრამაში მოცემული ინფორმაცია უფრო გაფართოვდეს და განივრცოს, რათა სტუდენტებს კიდევ უფრო მკაფიო წარმოდგენა შეექმნათ შესაძლო დასაქმების სფეროებზე. ზემოთმოყვანილ რჩევებთან ერთად, უნდა ითქვას რომ პროგრამაში მოცემული სასწავლო კომპონენტების (სილაბუსების) ერთობლიობა, პროგრამის ერთიანი სტრუქტურა, ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის ზოგადი მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი
- საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
სასურველია პროგრამის მიზნები განივრცოს და დაკონკრეტდეს, რათა პირველ რიგში გასაგები იყოს იმ სტუდენტებისთვის ვინც აზარებენ ამ პროგრამაზე. იგივე რჩევა იქნა მიცემული დამოუკიდებელი ექსპერტის რეკომენდაციაშიც. ასევე განსაზღვრობია დასაქმების ბაზრის აღწერა, ვინაიდან როგორც დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, დასაქმების ბაზარი უფრო ფართოა ვიდრე ეს ნაჩვენებია პროგრამის აღწერაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>პროგრამის კურიკულუმში მოცემულია შედეგები შემდეგი ფორმულირება:</p> <ul style="list-style-type: none"> • განსაზღვრავს დედამიწაზე არსებულ გეოსისტემებში მიმდინარე პროცესებს და მათი გავლენის შედეგებს სივრცესა და დროში; • სწორად იყენებს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას და კარტოგრაფიულ მასალას; • აფასებს გეოგრაფიული მეცნიერების გამოყენების შესაძლებლობებს და მათ როლს საზოგადოებაში; <p>პროგრამის შედეგები მთლიანობაში მოიცავს გეოგრაფისთვის საჭირო კვალიფიკაციას, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასრის სპეციფიკასაც, თუმცა ფორმულირება ზოგადია და უმჯობესი იქნებოდა მეტი კონკრეტულობით რათა კურსდამთავრებულს/დამსაქმებელს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა თუ რა დარგობრივ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციას შეიძენს სტუდენტი. მთლიანობაში სწავლის შედეგები იმ ფორმით, როგორც არის მოცემული შეესაბამება პროგრამის მიზნებს.</p> <p>მიღებული ცოდნა საკმარისი უნდა იყოს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის, თუმცა პროგრამის მიზნების და შედეგების ზოგადი ხასიათიდან არ ჩანს მკაფიო საზღვარი/გამიჯვნა თუ ცოდნის, უნარების და კომპეტენციის კონკრეტულად რა მოცულობას მიიღებს სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე და შესაბამისად სამაგისტრო</p>

დონეზე რა შეიძლება შემატოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამა;
 - პროგრამის მიზნები;
 - პროგრამის სწავლის შედეგები;
 - დასაქმების სფეროები
- პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია შედეგებში მეტი ყურადღება გამახვილდეს მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენების საკითხზე, რათა მკაფიოდ ჩანდეს თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა მოსალოდნელი კვალიფიკაცია, პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

მიეთითოს პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების არეალები, მაგალითად: სტუდენტი შეძლებს თუ არა დამოუკიდებლად აწარმოოს სავსე გეოგრაფიული მასალის შეგროვება, დაამუშაოს მონაცემები გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებით და მოახდინოს მიღებული შედეგების კარტირება. ან იყოს გეოგრაფიული კვლევითი პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელის მითითებით აწარმოოს მონაცემთა მოძიება და დამუშავება. და ა. შ.

მკაფიოდ ჩამოყალიბდეს თუ ცოდნის, უნარების და კომპეტენციის კონკრეტულად რა მოცულობას მიიღებს სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე, რათა გასაგები იყოს სწავლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების სფეროები და დონე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის	X			

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
---	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p><i>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</i></p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე დაშვების პირობები ადეკვატურია საბაკალავრო პროგრამაზე დაშვებისათვის, ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, სტუდენტს საშუალება ეძლევა სწავლა დაიწყოს შესაბამის პროგრამაზე. წინაპირობები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, სამართლიანია. საჯარო ინფორმაცია განახლებულ პროგრამაზე მიღების წინაპირობებისა და საკითხების შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.atsu.edu.ge აკრედიტაციის შემთხვევაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • აბიტურიენტთა ცნობარი; • დადგენილება #94(17/18) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების წესის დამტკიცების შესახებ აწსუ #12(17/18) დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ შედგენილია აწს-ში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ (აწს აკადემიური საბჭოს საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება #49 (17/18) შესაბამისად, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას. მისი დაყოფა: თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები (33 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები (121 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები (16 კრედიტი), თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (10 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (60 კრედიტი) კრედიტები ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან შენიშვნები არ გვაქვს. კრედიტების დაანგარიშების წესი და საათების განაწილება კრედიტში (საკონტაქტო, დამოუკიდებელი) ლოგიკურია. საგნების თანმიმდევრულობა და წინაპირობების სტრუქტურა მთლიანობაში გამართულია, შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის თვალსაზრისით მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კურიკულუმის რუკის ანალიზი მოიცავს მხოლოდ თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებისა (33 კრედიტი) და ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსების (121 კრედიტი) კრედიტებს, რის მიხედვით მხოლოდ 154 კრედიტი გადის სწავლის შედეგზე. არ არის გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები, მთლიანობაში 16 კრედიტი.

აწსუ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.atsu.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის რუკა;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება 49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ.;
- სასწავლო კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:

არჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია კურიკულუმის ანალიზის რუკის მონაცემებში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების შედეგების ჩართვა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასებისას გაანალიზებული იქნა წარმოდგენილი სილაბუსების ტექნიკური და შინაარსობრი მხარე. ტექნიკური თვალსაზრისით, რაც შეეხება საათების განაწილებას, კრედიტების დაანგარიშების წესს თუ შეფასების კრიტერიუმებს სილაბუსებთან შენიშვნები მინიმალურია. მთლიანობაში სილაბუსები და მათი განაწილების სტრუქტურა

თანხვედრაშია: 1. პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან და 2. თავად სილაბუსში მოცემულ სწავლების მიზნებთან და სწავლების შედეგებთან. ამავე დროს რიგ სილაბუსებთან მიმართებაში გამოვლინდა მცირე ნაკლოვანებები, რაც მოიცავს სასწავლო მასალების განახლების საჭიროებას, დამხმარე ლიტერატურად უცხოურენოვანი, თანამედროვე მასალების გამოყენებას, გეოგრაფიაში თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების უფრო აქტიურ ინტეგრაციას და სტუდენტებში პრაქტიკული მუშაობის უნარების გაძლიერებას.

ვფიქრობთ რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო-საველე პრაქტიკის სავალდებულო კურსის პრაქტიკულ მხარეს, სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე კურსი ორიენტირებულია უფრო საქართველოს გეოგრაფიული-გეომორფოლოგიური თავისებურებების საველე გაცნობაზე სტუდენტებისათვის ვიდრე კონკრეტული კვლევითი ამოცანის დასმასა და გადაჭრაზე, შესაბამისი ცოდნის და უნარების გამომუშავებაზე. აქცენტი კი სწორედ საველე კვლევის მეთოდების პრაქტიკულ შესწავლაზე უნდა გაკეთდეს. პრაქტიკული მუშაობის უნარების შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს საბაკალვრო ნაშრომის სილაბუსის შემოტანით პროგრამაში. ასევე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტებისთვის ხელშეწყობას კალკულუსის კურსის დაძლევაში, რაც შეიძლება პრეკალკულუსის არჩევითი საგნის შემოღებით გადაიჭრას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „გეოგრაფიის“ საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- „გეოგრაფიის“ საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის ხელმძღვანელობასთან, პროფესორებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ზოგადი რჩევაა სილაბუსებზე: აქტიურად იქნას გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს ერთის მხრივ სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან აწსუ-ში და ამავე დროს უზიარებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები.

კალკულუსის სილაბუსი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი მათემატიკის საკთხების საკმაოდ სტანდარტიზირებულ ჩამონათვალს, რთული დასადღვი იქნება სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით მათთვის ვისაც არ აქვს ჩაბარებული მისაღები ეროვნული გამოცდა მათემატიკაში. ჩვენი რჩევა იქნება რომ პროგრამაში განიხილონ პრეკალკულუსის სილაბუსის დამატება, რაც საშუალებას მისცემს შეავსოს სტუდენტის

ცოდნა მათემატიკაში და მოამზადოს კალკულუსისი დონისათვის.

პროგრამის სტრუქტურა: გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS), წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ცალკე სილაბუსი, რაც თავისთავად საჭიროა GIS-ის როგორც გეოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის ტექნიკური და კონცეფტუალური მხარის ასათვისებლად, მაგრამა მათ დროს მნიშვნელოვანია მოხდეს GIS-ის აპლიკაციების ინტეგრაცია სხვა სილაბუსებში და მისი ინტენსიური გამოყენება სხვადასხვა გეოგრაფიული ამოცანების გადაჭრაში, მიღებული შედეგების კარტოგრაფიულ ვიზუალიზაციაში.

თანამედროვე გეოგრაფიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს დისტანციური ზონდირება, ინტერნეტ რესურსების გამოყენებით თავისუფლად ხელმისაწვდომია აერო და კოსმოსური ორთოსურათები (მაგალითად Google Earth, Bing Maps, ArcMap Baselayer), ატიურად ვითარდება და ხელმისაწვდომი გახდა უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება ახლო მანძილის აერო გადაღებებში. ჩვენი რჩევა იქნება, რომ არსებულ პროგრამაში დაემატოს დისტანციური ზონდირების სილაბუსი, თუნდაც არჩევითი საგნის დონეზე.

სტუდენტებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განსავითარებლად სასურველია განიხილოთ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის დამატება პროგრამაში. აღნიშნული სილაბუსი ასევე კარგ თანხვედრაში მოდის სტუდენტურ კონფერენციებთან, რომელსაც ყოველწლიურად მართავ აწსუ, სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით. ეს სილაბუსი ასევე შეიძლება დაუკავშირდეს სავსე პრაქტიკებს, და სტუდენტების მონაწილეობა სავსე გასვლებისას იყოს კიდევ უფრო მიზნობრივი, მათ მიერ მოხდეს მასალის შეგოვება უშუალოდ საკუთარი საბაკალავრო კვლევისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი პროგრამის სწავლის შედეგებისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად, ჩართულია სხვადასხვა კონფერენციების, სამეცნიერო პიკნიკების, გამოფენების მოწყობაში.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი გულისხმობს სასწავლო-საველე სასწავლო პრაქტიკების გავლას. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობს აკადემიური პერსონალი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას პრაქტიკის მიზნისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით. გეგმიური დამოუკიდებელი ორი პრაქტიკის გარდა სამ საგანში ტარდება საველე-სასწავლო პრაქტიკა. საველე-სასწავლო პრაქტიკის მასალების მონაცემების საფუძველზე დეპარტამენტში ტრადიციულად ტარდება შემაჯამებელი კონფერენციები და ფოტოგამოფენები.

პროგრამის და მასში შემავალი სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ გაძლიერებულია პრაქტიკული კვლევების კომპონენტი, პირველ რიგში საველე-პრაქტიკის სასწავლო კურსები.

გარემოს ეროვნული სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში 2017 წელს უნივერსიტეტმა შეიძინა თანამედროვე მინიმეტეო სადგური, რომელიც სტუდენტებისათვის პრაქტიკული სამუშაოებისათვის გამოიყენება.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური მდგომარეობის გამო 2020 წლის ივლისში აწსუ-ს სტუდენტთა ყოველწლიური კონფერენცია ჩატარდა ონლაინ-რეჟიმში Microsoft teams-ის გამოყენებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამის ათმა სტუდენტმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალა;
- სტუდენტთა კონფერენციების პროგრამები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საველე პრაქტიკებში აქტიურად გამოიყენონ გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები და დისტანციური ზონდირება (აერო და კოსმოსური გამოსახულებების ანალიზი).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მოცემულია სწავლება-სწავლის მეთოდები: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, პრაქტიკული, ჯგუფური მუშაობის, წერიტი მუშაობის, ანალიზის, სინთეზის, დისკუსია/დებატების, თანამშრომლობითი, ინდუქციური და დედუქციური, დემონსტრირების, გონებრივი იერიშის. მეთოდები მთლიანობაში თანხვედრაშია და ფარავს პროგრამის მიზნებს და სტუდენტებისთვის მისაცემ ცოდნას და უნარებს. ასევე სწავლა სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია განათლების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანებასთან.

თუმცა ამავე დროს, სწავლების მეთოდები სასურველია განივრცოს, რათა პირველ რიგში გასაგები იყოს პროგრამით დაინტერესებული სტუდენტებისათვის, ხოლო მეთოდებსა და კონკრეტულ სილაბუსებს შორის უფრო მკაფიო კავშირი კიდევ უფრო მიზანმიმართულს გახდის სწავლების პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სწავლების მეთოდები უფრო განივრცოს, რათა გასაგები გახდეს პირველ რიგში სტუდენტებისათვის, მაგალითების დონეზე ნაჩვენები იყოს კავშირი კონკრეტულ სილაბუსებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი დადგენილებას (დადგენილება 5 (17/18) 15. 09. 2017 წ), რომელიც იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა;

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში-არაუმეტეს 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა-არანაკლებ 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა-40 ქულა.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ; შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

A-ფრიადი (91-100 ქ)

B-ძალიან კარგი (81-90 ქ)

C-კარგი (71-80 ქ)

D-დამაკმაყოფილებელი (61-70 ქ)

E-საკმარისი (51-60 ქ)

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

F(x)- ვერ ჩააბარა (41-50 ქ) რაც ნიშნავს რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ეერთხელ

<p>გასვლის უფლება.</p> <p>F-ჩაიჭრა (40 ზე ნაკლები ქულა)</p> <p>სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება სწავლის შედეგებს. შეფასების სისტემა იძლევა საშუალებას დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.</p> <p>შეფასების მეთოდები და რუბრიკები საღწერილია სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური ფორმით.</p> <p>უნივერსიტეტში ასევე არსებობს შეფასების გასაჩივრების სისტემა. აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის No10 (17/18) დადგენილებით დამტკიცებულია გამოცდების აპელაციის წესი. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ/დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული აპელაციით მიმართოს რექტორის მოადგილეს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საბაკალავროპროგრამა „გეოგრაფია“ • თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველკურსელებთან მართავს მისაღებ საორიენტაციო ღონისძიებებს, სადაც სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტის შენობას და აწვდიან ინფორმაციას სწავლის პროცესების შესახებ. უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტს აქვს საშუალება ფაკულტეტის და უნივერსიტეტთან არსებულ მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვის და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად მიიღოს საჭირო ინფორმაციები, კონსულტაციები და დახმარებები როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისაგან.

აწსუ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით, ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, დატვირთვა.

სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს აწსუში-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტებს უტარდებათ გამოკითხვები, რისი

საშუალებითაც მათ შეუძლიათ შეაჯამონ და შეაფასონ განვლილი სემესტრი, საგნები, ლექტორები და სწავლის მეთოდიკა, გამოთქვან საკუთარი სურვილები რაიმე ასპექტის გაუმჯობესების შესახებ. თუმცა სტუდენტებს ნაკლებად უტარდებათ ინდივიდუალური კონსულტაციები.

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. თუმცა უნივერსიტეტს სამუშაო აქვს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე და სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზებაზე.

ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და აწსუ-ში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის გამოყენებული იქნა სწავლების ონლაინ, შერეული და ჰიბრიდული მეთოდები. სტუდენტებისთვის შეიქმნა ონლაინს სწავლისთვის გზამკვლევები და ვიდეორგოლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუს ვებ-გვერდი www.atsu.edu.ge
- საბაკალავროპროგრამა „გეოგრაფია“
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
 სასურველია მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა „გეოგრაფია“ ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში, რომლის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ჯგუფის დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით გამართული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვადასტურებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბაკალავრო პროგრამა „გეოგრაფიის“ სასწავლო პროცესში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი დარგის თეორიული ცოდნა და პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება. მის განხორციელებაში მონაწილეობს 17 აკადემიური პერსონალი, ერთი მოწვეული სპეციალისტი და ენათა ცენტრის მასწავლებლები. აქედან 1 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ პროფესორი. ასევე კვალიფიციურია დამხმარე პერსონალი, რომლებიც მუშაობენ ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ცენტრებში, ფაკულტეტის სამდივნოში, მინი მეტეოსადგურში, გეოლოგიის კაბინეტში.

დეპარტამენტში არ შეიმჩნევა თანამშრომელთა მნიშვნელოვანი დენადობა, რაც დადებითად აისახება სწავლის პროცესზე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი თანამშრომელი (ა. მ.) გავიდა პენსიაზე.

პროგრამის ხელმძღვანელს ც. დ.-ს აქვს პროგრამის განხორციელების 20 წლიანი გამოცდილება და შესაბამისი ცოდნა, რაც საკმარისია პროგრამის შემუშავებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- დისტანციური გასაუბრება აწსუ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV-ები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით. ადმინისტრაციის ორგანიზებით განხორციელდა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთათვის, დეკანებისათვის, დეპარტამენტის ხელმძღვანელთათვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, შეფასების, გაუმჯობესებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების კუთხით.

აკადემიური პერსონალის უმრავლესობას ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო ჟურნალებში, მონაწილეობენ მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვადასხვა სახის ტრენინგსა და სემინარში. 2018 წელს დეპარტამენტის სამ თანამშრომელს (ფიქრია ჯინჯიხაძეს, მაგდა კვაბზირიძეს და თათია დოლონაძეს) დაცული აქვს დისერტაცია გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი მონაწილეობდა Erasmus Mundus-ის გაცვლით პროგრამებში.

2017 წლის 3-4 ივნისს აწსუ-ში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფიული მეცნიერება გლობალურ კონტექსტში: მიღწევები და გამოწვევები“ თსუ-სა და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ერთობლივი მხარდაჭერით.

<p>აწსუ-ს ადმინისტრაცია აფინანსებს თანამშრომელთა მივლინებებს სამეცნიერო კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად, რითაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მეცნიერული დონის ამაღლებას.</p> <p>გეოგრაფიის დეპარტამენტის თანამშრომლები აგრძელებენ ურთიერთობას რატგერსის (აშშ), კრაკოვის იაგელინოს (პოლონეთი) და სხვა უნივერსიტეტებთან.</p> <p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.</p> <p>მუდმივად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების ელექტრონული ვერსიების შექმნა-განახლება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV-ები; • თვითშეფასების ანგარიში; • დისტანციური გასაუბრება აწსუ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან; • მეცადინეობის პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვების (ურთიერთდასწრების) ოქმები; • საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფიული მეცნიერება გლობალურ კონტექსტში: მიღწევები და გამოწვევები“ შრომათა კრებული
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო ჩართულობის მეტად გაზრდა</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ძირითადად, უზრუნველყოფს „გეოგრაფიის“ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; აწსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, სამეცნიერო პერიოდული გამოცემები.

„გეოგრაფიის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აწსუ-ს I კორპუსში გამოყოფილია გეოგრაფიის დეპარტამენტის #2015 ოთახი და კომფორტული სასწავლო #2016, #2017 და #2018 აუდიტორიები.

სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ დეპარტამენტში არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურა და კარტოგრაფიული მასალა, კომპიუტერული ტექნიკა, საფონდო მასალები, კომპიუტერული პროგრამები, სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიები. მნიშვნელოვანია, რომ დეპარტამენტს გააჩნია პროფ. ოთარ უკლებას სახელობის გეოლოგიის კაბინეტი, უახლესი სასწავლო მინი მეტეოსადგური, გეოგრაფიული საინფორმაციული სისტემების და სხვა პროგრამებით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები, სასწავლო საველე-გეოგრაფიული პრაქტიკების ჩატარებისათვის საჭირო საველე აღჭურვილობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ოთარ უკლებას სახელობის გეოლოგიის კაბინეტი და უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. გეოლოგიის კაბინეტში განთავსებულია სამი მიმართულების კოლექცია: მინერალოგიური, პეტროგრაფიული და პალეონტოლოგიური. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები სასწავლო საველე პრაქტიკებზე შეგროვებულ ნიმუშებს იყენებენ სტუდენტურ კონფერენციების მოსამზადებლად, ხოლო გამორჩეულ ნიმუშებს გადასცემენ გეოლოგიის კაბინეტს, რითაც ივსება ყოველწლიურად.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას გააჩნია მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი; საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; თანამედროვე დონის სამკითხველო დარბაზები და სათანადო აღჭურვილობა. სტუდენტს საშუალება აქვს მინიმალურ დროში დისტანციურად მიიღოს მისთვის საჭირო სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუს I კორპუსში არსებული გეოგრაფიის დეპარტამენტის სასწავლო აუდიტორიები;
- დისტანციური გასაუბრება აწსუ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ

<p>პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან;</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფ. ოთარ უკლებას სახელობის გეოლოგიის კაბინეტი; • უახლესი სასწავლო მინი მეტეოსადგური; • გეოგრაფიული საინფორმაციული სისტემების პროგრამებით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები; • უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; • თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<i>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</i>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფიის“ ფინანსური ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რაც დასტურდება ფაკულტეტის არსებული გამოცდილებით. პროგრამის განხორციელებისა და განვითარების მიზნით გამოყოფილი თანხები დინამიურად იზრდება და თუ განვიხილავთ ბოლო სასწავლო წლებში არსებულ მდომარეობას, ამ მხრივ აშკარა ზრდა შეინიშნება.</p> <p>პროგრამის ბიუჯეტი სტაბილურია, სტუდენტებიდან მიღებული შემოსავლის 2/3 რჩება ფაკულტეტზე, ხოლო 1/3 აკუმულირდება უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში. როგორც ფაკულტეტი ასე ცენტრალური ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის შემდგომ განვითარებაზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის ბიუჯეტი; • დისტანციური გასაუბრება აწსუ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ

პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<h4>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</h4> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <h4>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</h4> <p>აწსუ-ში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის საქმიანობისა და არსებული რესურსების უწყვეტ შეფასებას, რაც მათი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმია. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერებაზე და უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებაზე. უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ჩართულია ყველა სტრუქტურული ერთეული და საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო საზოგადოების თითოეული წევრი, რასაც</p>
--

თავის მხრივ განაპირობებს უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.

უნივერსიტეტის ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას:

- I. EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
- II. EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
- III. EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.

პროგრამა ექვემდებარება პირველ პროცედურას და შიდა შეფასება წარიმართა სამ ეტაპად:

1. იდეის განხილვა, ხელმძღვანელების შერჩევა-დამტკიცება;
2. საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შეფასება;
3. პროგრამისა და მისი შემადგენელი კომპონენტების (კურიკულუმი, სასწავლო გეგმა, სილაბუსები, დანართები და სხვა) შემუშავება, განხილვა და დამტკიცება.

„გეოგრაფიის“ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დარგობრივი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით. პროგრამის სწავლის შედეგები, სილაბუსების ძირითადი შინაარსი განხილულია დეპარტამენტის სხდომებზე.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის აწესი ეფექტიანად იყენებს შესაბამის ადამიანურ, საინფორმაციო და მატერიალურ რესურსებს. ადამიანური რესურსების გარკვეულ ნაწილს გააჩნია განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების შიდა „ორმაგი“ შემოწმებისათვის და აკადემიური პერსონალის ტრენინგებისათვის.

ბაკალავრიატის არსებული საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფიის“ რეაკრედიტაციის მიზნით შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი 11 წევრის შემადგენლობით. წევრები შეირჩა შესაბამისი კომპეტენციის მიხედვით და მათ შორის განაწილდა პასუხისმგებლობები. ჯგუფის წევრები არიან პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სტუდენტები, პოტენციური დამსაქმებლები.

თვითშეფასების ჯგუფის წევრები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, ახდენდნენ მოძიებული ინფორმაციის გადამოწმებასა და სისტემატიზაციას. თვითშეფასების შევსებული კითხვარი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განხილულ იქნა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეთანხმებისა და აწეს-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენის მიზნით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა მჭიდრო კოორდინაციაშია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. კოლაბორაცია ხორციელდება ვითარების შესაბამისი ყველა ეფექტიანი მეთოდისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს ციკლური პროცესის სახით, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება.

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად:

- ყოველწლიურად აკეთებს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც უნივერსიტეტის მიერ განიხილება, როგორც სწავლა/სწავლებისა და კვლევითი პროცესის ხარისხის განმავითარებელი ინსტრუმენტი და ასახავს პროგრამის შესაბამისობას სტანდარტებთან.
- ყოველწლიურად ხდება დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშის მომზადება, რომელშიც აისახება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დეპარტამენტში განხორციელებული სასწავლო და სამეცნიერო აქტივობები, მიღწევები.
- ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება დამსაქმებელთა გამოკითხვა, შრომის ბაზრის ანალიზი და მიღებულ შედეგებს იყენებენ პროგრამის განვითარებისათვის.
- დეპარტამენტის სხდომებზე განიხილება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და თანამშრომლებთა კმაყოფილების კვლევის შედეგები, რომლის საფუძველზე ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა EP-QA

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის „გეოგრაფია-ს“ თვითშეფასების ჯგუფმა გაითვალისწინა 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და საგანმანათლებლო პროგრამაში შეიტანა შესაბამისი ცვლილება.

საბოლოო სახით ჩამოყალიბდა პროგრამის მიზნები; დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები; გადაიხედა სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა; რამდენიმე სასწავლო კურსში განისაზღვრა წინაპირობა; დაზუსტდა ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- გარე ექსპერტთა დასკვნა
 - თვითშეფასების ჯგუფის სამუსაო შეხვედრების ოქმები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას. მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა და სტუდენტური სერვისების მიწოდება არის გზა სტუდენტების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ძირითადი კომპეტენციების მქონე სპეციალისტებად ჩამოყალიბებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას და სწრაფად ცვალებად გარემოში წარმატებულ ადაპტაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფიას“ მონიტორინგს კოორდინირებას უწევს აწსუ-ს და ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდება ცვლილებების და დასკვნების შემუშავება, მათი აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული პროცესის ფარგლებში რეგულარულად წარმოებს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის, მათ შორის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შემოწმება; ანკეტირებული გამოკითხვა სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის უზრუნველსაყოფად; სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა; სწავლების ხარისხის გაზრდის და პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაციების და ინსტრუქციების შემუშავება; პროგრამის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით დარგის სპეციალისტების მოსაზრებების და რეკომენდაციების შესწავლა და არსებული პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან; პროგრამის შეფასებისთვის დამუშავდა მიღებული ინფორმაცია, გაანალიზებულ იქნა და განისაზღვრა მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი

მხარეები.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრების ციკლი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისათვის, დეკანებისათვის, დეპარტამენტის ხელმძღვანელებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების მომზადების კუხით.

რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამის შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე განისაზღვრა მოდიფიცირების საჭიროება. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასებისა და რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი.

ყველა არსებით ცვლილებას საფუძვლად უდევს სწავლის და სწავლების პროცესზე დაკვირვების შედეგები, სტუდენტების, პოტენციურ დამსაქმებელთა ხედვები და ადეკვატური დასკვნები ასახულია მოდიფიცირებულ ბაკალავრიატის პროგრამაში „გეოგრაფია“.

2018-2019 სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი გადავიდა ერთ შუასემესტრულ გამოცდაზე.

ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და აწსუ-ში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის, სტუდენტებისათვის შეიქმნა სწავლების ონლაინ ფორმები. ხაზგასასმელია, რომ მსოფლიო მასშტაბის წარმოშობილ გამოწვევაზე, აწსუ-სა და ფაკულტეტის აქტიური მხარდაჭერით, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა მოახდინეს მყისიერი რეაგირება, იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული დაინტერესებული პირების უპირატესად სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები) გონივრული ინტერესი. აღნიშნულის შედეგად, პანდემიის პირობებში პროგრამა ხორციელდა შეუფერხებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA);
- მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA;
- პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
 ხარისხის მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესება, სტუდენტების მიერ ელექტრონული კითხვარების მეშვეობით სასწავლო კურსებისა და პედაგოგების შეფასება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
გეოგრაფია (ბაკალავრიატი)


დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მიხეილ ელაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნოდარ ფოფორაძე



ბაქარ დუაძე

